



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლეგჰორნი

ლეგჰორნი, ქათმის ჯიში მეკვერცხული მიმართულებისა, გამოყვანილია XIX ს-ში აშშ-ში იტალ. თეთრი ქათმის შეჯვარებით მინორულასთან, ესპანურასთან, ძიძგილასა და სხვა ჯიშის ქათმებთან. ლ. თეთრი, წაბლისფერი, შავი ან ცისფერია. სხეულის აგებულებისა და ბიბილოს ფორმის მიხედვით არსებობს რამდენიმე სახესხვაობა. მამლის მასაა 2,3-2,7 კგ, დედლისა - 1,8-2,0 კგ, მეკვერცხულობა - 220-270 კვერცხი წელიწადში, საუკეთესო კვერცხმდებელი კი 300-ზე მეტ კვერცხს იძლევა. კვერცხის მასა - 55-60 გ. საქართველოში ლ. 1925-27 შემოიყვანეს. აშენებდნენ მეკვერცხეობის ფ-კებში - სამგორის სამომშენებლოში, მეფრინველეობის ამიერკავკ. ბონალურ საცდელ სადგურში, საქართვე. ბოლოტეფ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტის კრწანისის სასწ.-ექსპერ. მეურნეობაში.

საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან შემოყვანილია ლ-ის მეკვერცხული ჯიშის კროსები, რ-ებიც მიღებულია ჯიშის შიგნით ხაზთაშორის შეჯვარებით. აღნიშნული კროსები მოშენებულია პატარძეულის, კოდის, საგარეჯოს, ალგეთის, სავანეთისა და სხვ. მეფრინველეობის საწარმოებში. მიღებული პროდუქცია ნაწილდება საქართვე. სავაჭრო ქსელში.

ლიტ.: ნოზაძე რ., კვერცხის წარმოების ტექნოლოგია ფერმერულ და საკარმიდამო მეფრინველეობაში, თბ., 2002; ნოზაძე რ., ხუციშვილი მ., ბავარაშვილი ვ., მეფრინველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგია, თბ., 2007.

რ. ნოზაძე
